# ლექცია №4

- ხელოვნების წარმოშობა

- პირველყოფილი საზოგადოების ხელოვნება

- პირველყოფილ საზოგადოებას „კაცობრიობის ბავშვობას “ უწოდებენ.
- პირველყოფილ ეპოქაში ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ჩამოყალიბების პროცესთან ერთად კულტურის ფორმირებაც მიმდინარეობს.
- სწორედ პირველყოფილმა ადამიანებმა დაუდეს სათავე სახვითი ხელოვნების ყველა დარგს, კერძოდ, გრაფიკას, ფერწერას, ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას.

# პირველყოფილი ხელოვნების პერიოდიზაცია

- პალეოლითი (ძველი ქვის ხანა) – 3 მილიონი წლის წინ - ძვ. წ. X ათასწლეული.
- მეზოლითი (შუა ქვის ხანა) - ძვ. წ. X - VI ათასწლეულები
- ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) - ძვ. წ. VI-III ათასწელულები

- პირველყოფილი ხელოვნება უმეტესწილად რელიგიურ რიტუალებთან იყო დაკავშირებული და, ძირითადად, მაგიური დანიშნულბა ქონდა.

- პირველყოფილი ხელოვენბის ნიმუშები მეცნიერებმა პირველად XIX საუკუნის შუა ხანებში აღმოაჩინეს.

# პირველყოფილი მხატვრობა

- პირველყოფილი გამოქვაბულის მხატვრობის ნიმუშები მრავლადაა შემორჩენილი ესპანეთში, საფრანგეთში, ციმბირში, საჰარაში, სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში და ა. შ.
- პირველყოფილი ადამიანები ძირითადად ცხოველებსა და ნადირობის სცენებს გამოსახავდნენ.
- ცხოველთა ფიგურები ნატურალისტურად, დამაჯერებლად, ზუსტადაა გადმოცემული, მოძრაობები ცოცხალი და ბუნებრივია.

# ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობა

- ალტამირას გამოქვაბული მდებარეობს ესპანეთის ერთ-ერთ რეგიონში, კანტაბრიაში.
- გამოქვაბულში ნაპოვნია ძველი და შუა ქვის ხანის პერიოდის ცხოველთა ფიგურები და ნადირობის სცენიები.
- ყველაზე გვიანი პერიოდის მხატვრობა ძვ. წ. VIII ათასი წლის წინ არის შესრულებული.







# ქანდაკება

- პირველყოფილი ქანდაკებები, ძირითადად, მცირე პლასტიკის ნმუშებითაა წარმოდგენილი - ძვლის, ქვის, და ხისგან შექმნილი.
- ძირითადად, გვხვდება ადამიანის ფიგურები, მაგრამ ხცოველებისაგან განსხვავებით, ისინი ზედმიწევნით პირობთად, სქემატურადაა გამოსახული.
- ყველაზე ადრეული ქანდაკების ნიმუშებია ავსტრიაში ნაპოვნი ე. წ. „ვილენდორფელი ვენერა“
- ფიგურის ჰიპერტროფირებული ფორმები ნაყოფიერების კულტს განასახიერებს.

# ძვ. წ. XXIV-XXII ათასწლეულები



# დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

- თიხის ყველაზე ადრეული ნიმუშები ძველი ქვის ხანით თარიღდება, დაახლოებით ძვ. წ. XXIX-XXV ათასი წლით.
- თუმცა ახლი ქვის ხანაში, ანუ ნეოლითში ადამიანმა ფართოდ დაიწყო თიხის გამოყენბა.
- ჩნდება კერამიკა და მხატვრული ხელოსნობის სხვა ნიმუშები

- ძვ. წ. IV ათასწლეული
- კერამიკული ვაზა ნაპოვნია ეგვიპტეში



Керамическая ваза, Египет, 3500 до н.э.

# ხურომოძღვრება

- ნეოლითსა და ენეოლითში ჩნდება ხუროთმოძღვრების უადრესი ნიმუშები
- ესენი მეგალითური, დიდი ზომის ქვისგან შექმნილი, ნაგებობები
- უადრესი ნიმუში ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდება

# მენჰირები - ვეშაპი

- რედსტონის მენჰირი
- მდებარეობს დიდ ბრიტანეთში
- 7,5 მეტრია სიმაღლეში
- ძვ. წ. 3000-1500 წლის წინ



# დოლმენები

- მიწაში ჩაფლული რამდენიმე ლოდი, რომლებიც ქვის დიდი ბრტყელი ფილითაა გადახურული
- მდებარობს ირლანდიაში



# კრომლეხები

- უზარმაზარი ქვის ლოდებისაგან აგებული წრიული ფორმის ნაგებობები

- სტოუნჰენჯი - დიდი ბრიტანეთი

